ილოცება თამადა, გადაავსო ყანწიო, წელსაც უნდა მრავალი აკვანი დავარწიოთ.

ენატრება უღრანეთს ძილი და მოსვენება, ჩამოსკუპდნენ ყრანტალით, ვისაც სადაც ენება.

— დაგვიბრძვიყვს! — წრიპინებს სკვინჩა, ენატრალა — როდის მოამთავრებენ დილის ხაშს და არტალას!

სიმზამისგან ყურცქვიტას გული გადაპრანჭვია, ვერაფრით ვერ აძინებს ატირებულ ბაჭიას.

ააჩხალებს თამადა ორასი წლის მშაბიჭებს, ზამთრის ძილით დაბანგულ დათვისაც კი გააღვიძებს.

სმენიანი, უსმენო, ერთ ხმაში რომ მღერინ, ზუკ კი ვეღარ იხსენებს მერამდენე წელია.


უღრანეთი ტივტივებს საყვავეთის ზღვაშიო — კერა არ გააციო, ამა, ტაში, ტაშიო, გენაცვალე, ბახალა, გავლა—გამოვლაშიო!

მუსა

ტყის ბინადრებს მოძღვრავს მოვგი — უღრანეთის ბრძენი მუსა:

ვანო ჩხიკვაძე

სადაც სიყვარული მეფობს, ბარტყი ბარტყობს, ჩიტი ჩიტობს, შეიძლება იანვარში ხმელი ტოტის გაიკვიროს!



„— მხოლოდ თავის ბუნავს რომ გვის, გარეთ კი სანაგვე უყარს, ამა იმას, დალოცვილი, ჩვენი უღრანეთი უყვარს?!

ლექვი მგლად თუ არ გავგარდეთ— უცხო ხმაზე, შინ თუ გარეთ იყფებო, მშობელ მხარეს მითხარ, როგორ შეიყვარებს?! მითქვამს, ვინც კი გაიფიქრებს, ნეტაც, რა აღარდებს მუხას, ვერ ხვდება, რომ სხვა კი არა, აღარც თავის თავი უყვარს!..“

მუხამ უნდა იხმინოს მთაში, ბარში, აქაც, იქაც, ვისაც საქართველო უყვარს ის გაუგებს ამ ჩემს ივავს!

თოკო-კვარა

ვინც არ იცნობთ, გაციანით, ეზოს გულის გასახარად, შეიძნობრიან მამისურით ჩვენს გყვავს ჩვენი თოკო-კვარა.

თოკო-მურთის ჯადოქარი, დაქრის როგორც ნიავქარი, ფინტი ფინტზე ჩახავია, ხან აქ არი, ხან იქ არი.

მურთი მაინც დაასვენე,— ეხვეწება მთელი ეზო, ვინმეს რამე არ ატკინო, ან შუშა არ ჩაუღუნო!

ახტა-დახტა — ნახეთ, მურთმა

ბოლოს რა ოინი უყო — ფანჯრის ნაცვლად, მოსაცვლევი, თოკოს კბილი ჩამოუღო!

ორი ბოჭი


ხომ გინახავთ ორი გოჭი, ორი ცქვიტი ლოტოს კოჭი.

წარამარა, მოღრუტუნე დედას მიეხუხებთან, ძუძუს მიძღვებთან და ისე გაიბურთებთან, აღარც ჭყვიტინის თავი აქვთ, ვეღარც გვერდზე ბრუნდებთან.

ბრამოზს დედა: „ორივენი მწარე სახრით საცემია, სადმე ტლაპოს თუ მიადგენს, მაშინვე შიგ ჩაწვებთან.“

არა სჯობდა, სათითაოდ დილით რომ არ დამებანეთ? თითისტოლა ხართ და უკვე მამას როგორ დაემგვანეთ!“

რა ქნას, როცა ვეღარა სცნობს შეფუთულს ლაფის ჭოჭით, დედა და მაინც უყვარს ორი გოჭი — ლოტოს კოჭი.



გუგული

ეს რა ზნე გჭირს, გუგული, შენც იტყვი დედა ვარო! დასაჩეკად კვერცხები სხვებს უნდა შეაპარო?

დიდა თუ პატარა, ვის არ მოეხსენება, მგელი რაა, მგელიც კი ლეკვებს თავზე ევლებო!

ვის ბუღეში დაეძებ მოახლებებს, ფარეშებს, ვეღარ უნდა გაზარდო მგელი, ძიძის გარეშე?!

პატარამ!

ტაძარში კი არ შემოხვალ, მტრედით შემოფრინდები, თვალმეციმციმას, სანთელი მოგაქვს პატარა თითებით.

ამაღლდა, ჭერი ქაშვეთის, თითქოს ზეცისკენ აქანდა, ქართველი ქალი დაგყურებს — მჯღომი მაცხოვრის აკვანთან.

გაიგებ, როცა თავყანს სცემ მარამს, პირმშვენიერსო, თუ რაზე გეტიტინება დედის კალთიდან, იესო!

სახალწლო კარუსელი

სადელოფლო ნაძვის ხეს ვრთავ, სტრიქონების კუნწულეებით, ორიათას ოცდახუთო ვიდრე შემოტყუნულდები, კენწეროზე ვარსკვლავს დავსვამ, ხელს დაგვიქნევს ვიდრე ძველი, უნდა მეც დავატრიალო საახალწლო კარუსელი.

განკრიალდა ბროლის ჭიქა — აქაც-ლხინი ლხინი-იქაც, ჩქარა, თორემ თაფლის ქილა დათვმა ლამის გამოტლიკა!

ვითვლი, მაგრამ ვეღარც ვითვლი, ორჯერ ოთხი, სამჯერ ხუთი, თავს თუ ახდი, დროს იხელთებს ხტუნვა-ხტუნვით, ფართი-ფურთით,

ზაალ ანჯაფარიძე

2025 — რა ელოდება საქართველოს?

მომთხა გვერდიდან

რომ წარმავალი და მომავალი ადმინისტრაციები კარგად მუშაობენ ერთმანეთთან სახელმწიფო უსაფრთხოების საკვანძო საკითხებზე. თუმცა, ტრამპის ადმინისტრაციას გარკვეული დრო დასჭირდება საკუთარი საგარეო პოლიტიკური სტრატეგიის ჩამოყალიბებისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია, მოახერხებს თუ არა „ქართული ოცნება“ ამ პერიოდში დაარწმუნოს ტრამპის ადმინისტრაცია, რომ აშშ-ის ინტერესები საქართველოში სრულად იქნება დაცული, ხოლო რეგიონში საქართველო კვლავაც დარჩება აშშ-ის ერთგულ მოკავშირედ.

როგორც აღვნიშნეთ, თუ შესაძლებელი სცენარი გარდაუვალი გახდა, „ქართული ოცნებას“ მოუწევს გადასაწყვეტოს საკუთარი რესურსები და პრიორიტეტები, თან ისე, რომ მისი ამომრჩეველი შეამზადოს ამისათვის. ეს კი საკმაოდ რთული ამოცანაა.

ოპტიმისტური სცენარი

თუ 20 იანვრის შემდეგ ტრამპის ადმინისტრაცია ოფიციალურად გამოაცხადებს, რომ მას ექნება ურთიერთობა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ თანდათანობით გაიშვება ის ყინული, რაც ამჟამად არსებობს ევროპაში საქართველოს ხელისუფლების ლეგიტიმაციის აღიარების კუთხით. ასეთი სცენარის ალბათობა

ლენით, გამოდინარე შედეგებით. „ძალიან ცუდად“, კი ქუჩაში დარჩენას და მარგინალიზებას. „ქართული ოცნებას“ საშუალება ეძლევა პოლიტიკურ ველზე თანდათანობით შემოიყვანოს ახლად შექმნილი პოლიტიკური ძალები, როგორც „ჯანსაღი ოპოზიცია“, 2025 წელს შეიძლება ამის პირველი ნიშნები ვიხილოთ.

ოპტიმისტური სცენარის შემთხვევაში, დღის წესრიგიდან იხ-



50/50-ზე. როგორც აღვნიშნეთ, ის გარკვეულწილად, დამოკიდებულია კონგრესსა და სენატში, MEOBARI აქტის, და „ქართული ხალხის აქტი“-ს (Georgian People's Act) მიღებაზე. ეს აქტები მასშტაბურ სანქციებთან ერთად, საქართველოსთვის გასაწევი დახმარების და ორმხრივი ურთიერთობების ღრმა გადახედვას ითვალისწინებს. ამ აქტების უკან გვევლინება კი ურთულესი საქმეა. შესაბამისად, „ქართული ოცნება“ და მისმა ლობისტებმა აშშ-ში უნდა ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ეს არ მოხდეს.

თუ მოვლენები „ქართული ოცნებისთვის“ ოპტიმისტური სცენარით განვითარდა, არჩევნებში ბარიერგადალახულ ოთხ ოპოზიციურ პარტიას მოუწევს წავიდეს „ცუდად“ ან „ძალიან ცუდად“. ცუდად ნასვლა გულისხმობს პარლამენტში იძულებით შესვლას, ფაქტობრივად, განულებული რეიტინგით და გავ-

სნება ახალი არჩევნების ჩატარება, საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები შედარებით მშვიდდება და გადადის კონტროლირებადი ტერმინოლოგიის სტადიაში. მართალია, „ქართული ოცნებას“ ამ მხრივ საკმაო გამოცდილება აქვს დაგროვილი, მაგრამ 2025 წლის მოცემულობაში ეს შეიძლება უფრო რთული აღმოჩნდეს, ვიდრე წინა წლებში.

თუ „ქართული ოცნებაში“ დაადგინენ, რომ ის ზღვრული პოლიტიკური ხარკი, რაც მათ საგარეო პოლიტიკური კუთხით უნდა გაიღონ, აღემატება ზღვრულ პოლიტიკურ სარგებელს, მაშინ, სავარაუდოდ, ისინი ამ ხარკს არ გაიღებენ. ასეთ შემთხვევაში, მმართველ გუნდს ისევ მოუწევს მანევრირება, უკვე დაწყებული მრავალვექტორული პოლიტიკის კიდევ უფრო მეტად განვითარება და ამით სტაბილურობის შენარჩუნება.

ერთი, თუნდაც ყალბი ინფორმაცია 25 მილიონი ღირს!

ვენისულის თაღლითურ რაჭობს ყველაზე დიდი თაღლითები ებრძვიან!

აშშ-მა 25 მილიონ დოლარამდე გაზარდა ჯილდო ინფორმაციისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს ვენისულის პრეზიდენტის, ნიკოლას მადუროს დაპატიმრებას. ინფორმაციას ამის შესახებ BBC-ი ავრცელებს.

ჩვენ ვგრძობთ ჯილდოს ნიკოლას მადუროსა და შინაგან საქმეთა მინისტრის, დიოსდადო კაბელის (დაპატიმრებისთვის) 25 მილიონ დოლარამდე. გარდა ამისა, ჩვენ ვამატებთ 15 მილიონი დოლარის ახალ ჯილდოს ინფორმაციისთვის, რომელიც გამოიწვევს თავდაცვის მინისტრის, ვლადიმერ პადრინოს დაპატიმრებას, – განაცხადეს აშშ-ის ადმინისტრაციაში.

ვენისუელაში საპრეზიდენტო არჩევნები ივლისში ჩატარდა, რომელშიც გამარჯვებულად საარჩევნო ადმინისტრაციამ ნიკოლას მადურო გამოაცხადა. ოპოზიცია ნიკოლას მადუროს გამარჯვებას არ აღიარებს და არჩევნებში გამარჯვებულად თავის კანდიდატს, ელმუნდო

გონსალესს მიიჩნევს.

არჩევნების შედეგები არ აღიარეს აშშ-მა, გაერთიანებულმა სამეფომ, ევროკავშირმა და ლათინური ამერიკის ზოგიერთმა ქვეყანამ. არჩევნების შემდეგ ვენისუელაში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები გაიმართა, რა დროსაც ასობით ადამიანი დააპატიმრეს.

10 იანვარს ნიკოლას მადუროს ინაუგურაციის დღეს გაერთიანებულმა სამეფომ 15 ვენისუელელ მაღალჩინოსანს, მათ შორის, მოსამართლეებს, ძალადონი უწყებების თანამშრომლებსა და სამხედრო მაღალჩინოსნებს სანქციები დაუწესა. ხელისუფლების განცხადებით, სანქციონებული პირები პასუხისმგებელი არიან ვენისუელაში დემოკრატიისთვისა და კანონის უზენაესობისთვის ძირის გამოთხრაზე და ადამიანის უფლებების დარღვევებზე. გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მდივანმა, დევიდ ლემიმ მადუროს რეჟიმს „თაღლითური“ უწოდა.



NATO ბალტიის ზღვაში წყალქვეშა კაბელების დასაცავად ფლოტს აგზავნის!

გაეროში ზღვაში აპრილამდე, მნიშვნელოვანი წყალქვეშა ინფრასტრუქტურის სიახლოვეს განლაგდებიან, რათა დივერსიის ნებისმიერი მცდელობა თავიდან აირიდონ.

შედიის თანახმად, კვირის ბოლომდე ბალტიის ზღვაში ჯამში 10 ხომალდი შევა. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გადაწყვეტილება ბოლო პერიოდში ბალტიის ზღვაში მომხდარ ინციდენტებს უკავშირდება.



უკანასკნელი ასეთი ინციდენტის დროს ფინეთსა და ესტონეთს შორის დამაკავშირებელი ელექტრო და ინტერნეტ კაბელები დაზიანდა. ფინეთში აცხადებენ, რომ მთავარი ეჭვმიტანილი რუსეთის ე.წ. ჩრდილოვანი ფლოტის ხომალდია. ინციდენტის დროს კაბელების სიახლოვეს სწორედ ეს გემი იმყოფებოდა.

2024 წელი დედამინაზე რაკორდულად ცხელი იყო!

ბასულ წელს დედამინაზე საშუალო ტემპერატურამ რეკორდულ მაქსიმუმს კიდევ ერთხელ, უკვე მეორედ მიაღწია. 2024 წელი რეკორდულად ცხელი იყო იმ პერიოდში, როცა საერთაშორისო სააგენტოებმა მონაცემების შეგროვება დაიწყეს, შესაბამისად, მინიმუმ, 1880 წლიდან.

მანამდე კი რეკორდული წელი 2023 იყო. NOAA-ს ცნობით, გასულ წელს ხმელეთისა და ოკეანეების საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა 2/10 გრადუსი ფარენჰეითით აღემატებოდა 2023 წლის რეკორდს. შედეგად ორი რეკორდული წელი

კი გლობალური დათბობის ტრაექტორიის შენარჩუნებაზე მიუთითებს, რაზეც მეცნიერები წლებია, საუბრობენ.

NASA-ს გამოთვლებით, 2024 წელს დედამინის საშუალო ტემპერატურა 2.65 გრადუსი ფარენჰეითით აღემატებოდა მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის საშუალო მაჩვენებლებს.

კონტინენტების მიხედვით, რეკორდული წელი იყო ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკისთვის, ევროპისა და აფრიკისთვის, ამასა და არქტიკაში კი რეკორდულ წოდებას კვლავ 2023 წელი ინარჩუნებს.

ევროკავშირი შიშობს, რომ დონალდ ტრამპმა, შესაძლოა, ჯო ბაიდენის მიერ დაწესებული სანქციები და სხვა ბრძანებები გააუქმოს

ევროკავშირის ოფიციალური პირები ანალიზებენ აშშ-ის პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ასობით აღმასრულებელ ბრძანებას და დაწესებულ სანქციებს მზარდი შემოთვლების ფონზე, რომ დონალდ ტრამპი გააუქმებს მათ, რაც პოტენციურად შეაფერხებს საგარეო ურთიერთობებსა და ვაჭრობას, – ამის შესახებ Financial Times-ის სტატიაშია აღნიშნული.

ბრიუსელი წუხს, რომ ტრამპმა შესაძლოა, წინამორბედის გადაწყვეტილებები მხოლოდ იმით გააუქმოს, რომ ისინი ბაიდენმა მიიღო და ევროპელ მოკავშირეებზე ამგვარი ნაბიჯების გავლენა არ განიხილოს.

„ევროკავშირის ყველაზე დიდი შეშფოთება არის ის, რომ ტრამპმა, შესაძლოა, გააუქმოს ბაიდენის აღმასრულებელი ბრძანებები, რომელიც რუსეთს, უკრაინაში შეჭრის

გამო, სანქციებს უწყებს. ბლოკის ოფიციალური პირები იმედოვნებენ, რომ ტრამპი შეინარჩუნებს ამ სანქციებს, რათა გამოიყენოს როგორც პოტენციური ბერკეტი მოსკოვთან ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შესაძლო მოლაპარაკებებში“, – წერს Financial Times-ი.

გამოცემა იხსენებს, რომ გასული წლის ზაფხულს ევროკავშირის კომისიამ შექმნა მაღალი თანამდებობის პირებისგან შემდგარი შიდა გუნდი, რათა შემუშავებინათ ტრამპის პრეზიდენტობის მეორე ვადის პოტენციური ზემოქმედების სტრატეგია და ის, თუ როგორ შეეკავებინათ ან რეაგირება მოეხდინათ მათზე. კომისია ძირითადად ფოკუსირებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა პოტენციური სავაჭრო კონფლიქტები, აშშ-ის მხარდაჭერის შემცირება უკრაინისადმი და ვაშინგტონის პოზიციის შესაძლო ცვლილება ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების მიმართ.

„აღმასრულებელი ბრძანებები გაცემულია მხოლოდ პრეზიდენტის მიერ და შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს. ტიპურია ის, რომ ახალმა პრეზიდენტმა თანამდებობის დაკავშირებას მალევე განიხილოს არსებული ბრძანებები“, – წერს Financial Times-ი.

EU fears Donald Trump rolling back Biden-era measures. Bloc concerned about president-elect reversing US sanctions against Russia and other policies. Image of Ursula von der Leyen and Donald Trump shaking hands.

18 მარტი, 2024

ჰოლა, სტეფანწმინდაში — ბიასთან. გიოსთან. გაბუასთან და მთაზე გარდასული სხვა ხალხთან ერთად

ჰოლა, სტეფანწმინდაში კი არა, შაბათს საღამოს მწვერვლის ბარში უნდა ვყოფილიყავი, თბილისში, სიონის ქუჩაზე. მოვალე-მეთქი, წინასწარ შევპირდი, როცა ონლაინ მოპირიყვება გამოვიგზავნე. მესო ხვედელიძის ახალი წიგნის პრეზენტაცია უნდა გამართულიყო: „მის — მშვიდობა“.

ჰოლა, საგულდაგულოდ ვეგზავდებოდი. ჯერ ერთი ამ ბარში აქამდე არ ვყოფილვარ და მაინტერესებდა, მეორეც — თავად მესო ხვედელიძისთან შეხვედრასაც ვესწრაფოდი. მისი ახალი წიგნი — ახალ წიგნად, მაგრამ წინასწარულად ნეპალზე სალაპარაკოდ განვწყვეტე. მე მგონი, ბოლო საუკუნეებში მესო ხვედელიძე ერთადერთი ქართველი მწერალია, რომელიც დასავლეთში კი არა, აღმოსავლეთში გადასახდებდა და მთელი ათი წელიწადი, დროის დიდ ნაწილს ნეპალში ატარებდა. მე კი ნეპალთან ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს. პირველად თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ ვიყავი ნეპალში. კუმარისაჲ კი შევხვდი — ცოცხალ ქალღმერთს. მას მერე ეს ქვეყანა მუდამ არის ჩემი ყურადღების არეში. უამრავი წიგნი მაქვს ნაკითხული ნეპალსა და ჰიმალაებზე. მერე მესო ხვედელიძის „ნამატ-



მელიათა მიჯნაზე

ავიდა — კახი კახიანელი და ლერი ხაბელოვი. ჰოლა, ამ ასვლების ფოტოები მქონდა და გვეუბნებოდა გამოფენისთვის. გამოფენას კი სტეფანწმინდის ერთი კოხტა სასტუმრო აწყობდა, რომელსაც „ალპინ ლაუნჯი“ ჰქვია და რომელსაც გადაუწყვეტია, რომ ეს სასტუმრო ალპინისტთა ერთგვარ თავშესაფარად აღვიღოთ აქციოს აქ ჩამოსულიათათვის. მაშუამაც ბლომად ფოტოები მისცა საგამოფენოდ, ძველი და ძველისძველი ფოტოები კი იაკო კაზალიკაშვილმა ათხოვა საიმედოდ მუზეუმიდან.

ჰოლა, თუმცა დილას გუდაური-კომის გზა დაკეტული იყო, გეგმა არც მასპინძლებს შეუვლიათ, არც ჩვენ და მანქანითა თუ საბავირო გზებით სტეფანწმინდაში დროულად ჩავედით. მყინვარწვერი არ ჩანდა, ხოლო ტრასაზე უამრავი მანქანა ფერად ჭაჭვად გაჭიმულიყო და ერთი ცის გახსნას უცდიდა. მეორე კი — გზის გახსნას.

ჰოლა, ეს საკმაოდ გრძელი გზა, როგორც წესი და რიგია, საუბარზე გალია. საუბარი კი,

გაბა ნაცვლიშვილი

ფეისბუქი-2024, რჩეული პოსტები

მესო ხვედელიძეს და მის მოთხოვნებსა თუ რომანტიზმზე ვილაპარაკეთ. ჩემი მოთხოვნების წინა უნდა მოვყეო, ვიამ. ცოტათი პოლიტიკასაც შევხვით. თემა მართლა იმდენი იყო, რომ გზა, რომელიც დიხასაც საკმაოდ გრძელი იყო, ჩვენს საუბრებს ვერ გასწვდა, არ გვეყო. ვიო იშვიათად თუ იტყობა რამეს, არადა თუ არის ვინმე ქართული ალპინიზმის ახალგაზრდა თაობაში, გიორგი ტყეშაძე დღეს ერთ-ერთი პირველია. ის და მასთან ერთად არჩილ ბაღრაძე და ბაქარ გელაშვილი ცოტა ხნის წინ სარაგარზე პირველ-ასვლისთვის „ოქროს წერაყინის“ ლაუნჯატებში გახდნენ. სარაგარი ჰინდუკუშის მასივში მდებარე 7340 მეტრის მწვერვალია პაკისტანში, ხოლო „ოქროს წერაყინი“ ალპინიზმის ოსკარად არის მონათლული და იგი 1992 წლიდან გადაეცემა მთამსვლელებს განსაკუთრებული სირთულის ასვლებისათვის. რაც ეს ამბავი გახმაურდა, მას მერე მინდოდა ამ სამეულის გაცნობა და აპა, ერთი მათგანი უკვე გავიცანი.

ეკრანზე ხევის მწვერვალებისა და წარსულის ცნობილი ალპინისტების კადრები ცვლიდა ერთმანეთს. შეკრების თემა სწორედ ხევი იყო, „ხევი და მისი როლი ქართული ალპინიზმის განვითარებაში“.

ჰოლა, ჩვენ ყველანი ინტერესით ვუსმენდით ცნობილი მთვევ გამოცდის იაკო კაზალიკაშვილის შვილიშვილს — იაკო კაზალიკაშვილს, დღეს სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმის დირექტორს და მთამსვლელობა კერძო მუზეუმის დამაარსებელს. ვუსმენდით შეხვედრის სხვა მონაწილეებს. დარბაზი სასუც იყო მთაზე გარდასული ხალხით — მთამსვლელებით, საქართველოს მთამსვლელობა ფედერაციის, გიორგი ნიკოლაძის სახელობის ალპური კლუბისა და „თავდასაგვალთა მადიემელთა“ კლუბის წევრებით, სტეფანწმინდელი ერთუბასტებებით, მოხვევ მთამსვლელობა შთამომავლებით... ჩვენთან ერთად იყვნენ ყაზბეგისა და ფშავე-ხევსურეთის ეროვნული პარკების ადმინისტრაციათა წარმომადგენლები — თათარ წამალიაძე და არამაზ ნიკოლაური, აქ იყო, რა თქმა უნდა, ჩვენი კეთილი მასპინძელი, სასტუმროს ადმინისტრატორი დიანა მარქარაშვილი, რომლის იდეაც იყო ეს ჩვენი შეხვედრა და, რასაკვირველია, ყურადღების ცენტრში იყო ჩვენი ყველას შემკრები და იმ დღეს ერთი მიზნით ჩვენი გამაერთიანებელი ბაბუა ალუდაური, რომელიც თავის მტერს რომ თვალს დაუყენებს, ისეთი ფოტოაპარატით გვიღებდა სურათებს და რომელსაც ისეთი გრძელი თანამდებობა აქვს, რომ კომი-გუდაურის ტრასაზე ჩარიგებული მანქანები თუ გაუწვევ კონკურენციას: დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დირექტორი.

ჰოლა, მოკლედ ვიტყვი, ჩვენმა დირექტორმა ბაბუამ თქვა და ჩვენც დავეთანხმეთ, რომ კარგი იქნება თუ ჩვენს მასპინძელ სასტუმროს ალპინიზმთან დაკავშირებულ სურათებსა და წიგნებს გამოვეგზავნით, რომ ვინძლო სტეფანწმინდაში გასამდეს ხევისა და ალპინიზმის მიძღვნილი ცენტრების რაოდენობა. ან რატომ არ უნდა გასამდეს — ავი აქაურობას მყინვარწვერის ფონზე ალმარათული გერგეტის სამება დასცქერის თავს. წიგნებსა და ფოტოებს, რა თქმა უნდა, გამოვაგზავნით, — დამატა ვიამ, — მაგრამ იქნებ შეიძლებოდა, რომ ამ სასტუმროს წელიწადში ერთხელ გაიმართოს ასეთი ალპინისტური შეხვედრები. თუ სადმე ნეპალში ან სადმე გადაკარგულში არ ვიქნები, აუცილებლად დავესწრებო.

ჰოლა, მომავალ შეხვედრაზე რა იქნება, ჯერ არ ვიცი, მაგრამ მეორე დილას, როცა ცაზე გაიხსნა და გზაც, შეკრების მონაწილენი ძველი ნაცნობებით ემშვიდობებოდნენ ერთმანეთსა თუ კეთილ მასპინძლებს. დილას სტეფანწმინდაში ისეთი ამინდი იყო, რომ გერგეტის სამებაზე კარგად ჩანდა, ყუროც და მყინვარწვერიც. მე და ბაბუა ერთმანეთს ვასწრებდით სურათების გადაღებას. მაგრამ ბაბუას, ავი ვთქვი, იმისთანა კოხტა კამერა აქვს, რომ „ხევის პატარძალი“ გაკილვით ლამაზი ჩანდა, ვიდრე ჩემთან. მაგრამ ვერცერთი ფოტოაპარატი ვერ გადმოსცემს იმ სილამაზეს, როგორც ვახლავთ მყინვარწვერის სინამდევლებში, მთ უმეტეს თუ ადამიანს ერთხელ მაინც გაგიღებ შენ და სტეფანწმინდიდან კი არ უყურებ ხევის პატარძალს, არამედ მყინვარწვერზე მდგარი უყურებ სტეფანწმინდასაც და სხვა ყველაფერს, რასაც თვალი მისწვდის.

ჰოლა, მყინვარწვერიდან, სასტუმრო ახმარ-გალიდან თბალი გვერ რასმის სწვდობა.

31 მარტი, 2024

ჰოლა, ლაქსი!



ჰოლა, უნდა გამოვტყდე — აი, ეს გოგო მიყვარს! გუშინ შემეყვარა. ნუხელის თავისი მომავალი წიგნის სამი თავი გამოვიგზავნა, სადაც მისი მოგზაურობები აღწერილი იქნებოდა, ნიგრიასა და ლაოსში. მთელი ღამე გავთიფე მისი ბლოგების კითხვამ. ფოტოების თვლიერებასა თუ ბლოგების ყურებამ.

ჰოლა, ხვალისთვის ვთხოვ და სახით მოტრიალდება ჩვენკენ. დარწმუნებული ვარ, თქვენც შეეყვარდებით.

გაბრეკლება იქნება



ეზე“ ვილაპარაკე, ნეპალზე დანერვილ სხვა ქართველ ავტორთან წიგნებთან ერთად, იმ ჩემს უსასვენისნიშნო „ვეფხისტყაოსანში“ და ავტორ მარშალნი — შეხვედრა რაულ ჩილაჩავას ტაშირო მაქუკისთან შივ კატმანდუში.

ჰოლა სასაუბრო თუნდაც ნეპალის თემებზე მესო ხვედელიძისთან დიხასაც ბევრი მქონდა, მაგრამ მწერალთა ბარში იმ საღამოს ვერ წავიდი, რადგან დილიდან სტეფანწმინდისკენ გავუტეი, თუმცა, რაღაც განგებით, ნეპალზე საუბარი არანაკლებ საინტერესო გამოგვივიდა, ვიდრე მესოს საღამოზე ვვარაუდობდი.

ჰოლა, ის იყო, წინა საღამოს მესოსთვის „ახალი საუბრის“ 2020 წლის მე-3 ნომერს ვეძებდი ჩემი „ვეფხისტყაოსანის“ ნეპალური ფრაგმენტით, რომ ბაბუა ალუდაურმა დარეკა: ხვალ დილას ვიო თორთლაძე გამოგვივიდა ვიო ტყეშაძის მანქანით, მეც დუშეთის გადასახვევთან დაგხვდებით და სტეფანწმინდას ხუთი საათისთვის უნდა ჩავიდეთ.

ჰოლა, მაშინ გამახსენდა, რომ სანამ მესო ხვედელიძის წიგნის პრეზენტაციაზე დამპირიყვებდნენ და სანამ ფეისბუქპრობას მივცემდი, მანამდე ბაბუას შევპირდი, 16-17-ში წამოვალ სტეფანწმინდაში-მეთქი. ის კი არა, მწვერვალ ოლიმპიულზე გადაღებული ფოტოებიც მიგანძღვ გამოფენისთვის: 2003 წელს ხდის ხეობის ერთ უსახელო მწვერვალს ოლიმპიული დავარქვით. მაშინ ჩვენთან ერთად მწვერვალზე ამოვიდნენ ოლიმპიური ჩემპიონები შოთა ხაბარელი და ვახტანგ მლაიძე. მერე — 2014 წელს ამ მწვერვალზე კიდევ ორი ოლიმპიური ჩემპიონი

რა თქმა უნდა, ალპინიზმს შეეხებოდა. და, მე-ნებრივია, — ნეპალსაც თავისი რვათასიანებით. ვიო თორთლაძემ გაიხსენა ჩემი ძველისძველი წერილი „აღიშ, მიჭებო, ჯომოლოუნგმაზე“. იმ პერიოდში, 1976-ში, როცა ეს წერილი უყრნალ „მართებს“ ორ ნომერში დამიბეჭდა, არათუ ალპინისტი, საერთოდ პირველი ქართველი ვიყავი, ვინც ნეპალის რვათასიანებს შორიდან მაგრამ მაინც საკუთარი თვალი შეუვლო. იმ წერილის სათაურში ნაგულისხმები მიჭებოდა კი ერთ-ერთი პირველი სწორედ ვიო თორთლაძე აღმოჩნდა ოციოდე წლის შემდეგ. ვიო ერთხელ ხომ ავიდა ჯომოლოუნგმაზე 1999 წელს, მერე — მეორედაც ავიდა, უფრო მერე — მესამედაც, გზადაგზა ამას სხვა რვათასიანებზე და შვიდათასიანებზე დაუმატა, მათ შორის ზამთრის ასვლები, ჰიმალაებში პირველი ქართული ექსპედიციასაც ჩაუდგა სათავეში და ჩვენს თვალშიც ლეგენდარულ მთამსვლელებად და თოვლის ჭიქად იქცა. ვიო რომ გავიცანი, იგი ის-ის იყო პირველ ნაბიჯებს დგამდა მთამსვლელობაში. მერე კი ერთხანს საქართველოს მთამსვლელობა ფედერაციას ედგა სათავეში, იყო ორი მონვევის საქართველოს პარლამენტის წევრი, უფრო მერე კი მთამსვლელობა საერთაშორისო ასოციაცია ჩამოაყალიბა, სადაც ის პრეზიდენტად და რაინ-ჰოლდ მესწერი ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს, მაგრამ, ვიას წინადადებით, — უხერხულიაო — მესწერი საპატიო პრეზიდენტად დააღვინეს.

ჰოლა, სალაპარაკო ბევრი გვექონდა — ნეპალიც და ტანზანიაც და ალასკაც და არგენტინაც და შუა ამიაც და, რა თქმა უნდა, საქართველოც.

გაბრეკლება, ღასაწყისი იხილეთ „ს. რ.“ N2.

უნახავს რა ნახაო, ისეა უკანასკნელ ხანს ერთ დროს ჩვენს თანამემამულე ბალტიისპირელთა საქმე, რომლებიც გორბაჩოვის ეპოქის საბჭოთა პერესტროიკის რეპორების კუმბოლოუსების, გიჟიზმანტასების, რასაებისა თუ შედარებით ახალგაზრდა კალასების პირით ახმოვანებენ ევროლიბერალთა სათქმელს და საქართველოს შინაურ საქმეებში ბინძურად ჩარევის პარალელურად აქაური აგენტურის გაფიქვასაც უწყობენ ხელს.

კი მაგრამ, როდესაც აუვარდათ თავში ზეიმპერიის მტკივნეული დაშლის შედეგად ხონრით მირთმეული დამოუკიდებლობა ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობითა და ცივილიზებულ დასავლეთთან სიახლოვით გაზულეულ ბალტიისპირელებს, რომელთა თავისუფლებისთვის ბრძოლაც მხოლოდ ვილინიუსის ტელეანძასთან რამდენიმე დღიანი მიტინგისა თუ იმდროინდელი სამი საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე ორგანიზებულ ცოცხალ ჯაჭვს მოიცავს? – დაინტერესდებით, ალბათ.

პასუხი მარტივია – როდესაც გვერი ფაქტორის გათვალისწინებით ძალად მოკეთის ერთ ნაკუნას ნაყურებს და არც მერე შემთხვევაში გაუყადრებ საკადრისი რეაქციის გამოსახატავად თავს, მას ძალაუვნებურად უჩნდება შენდამი არარსებული უპირატესობის გრძობა და არ უნდა გაეკვირდეს, რომ ზემოდანაც გადმოგხედავს და, მეტყუ – ოკუპანტივალდებულ პატრონთა ფეხის ხმას აყოლილი, დასაწყისივინებასაც კი გაგიბედავს.

ამ ფონზე ცალმხრივი მეგობრობის იდეალისადმი ერთგულება შეიძლება მვერისთვის

„...ლატვიის ქალაქ ელგავის ადოლოფ ალუნანის სახელობის თეატრის ხელმძღვანელმა ლუცია ნეფედოვამ საგასტროლოდ მიგვიწვია და ჩვენი რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ყოველმხრივი დახმარება აღგვითქვა. მასპინძლებმა ისეთიარად მიგვიღეს და ისეთი გული გვიჩვენეს, სიმბრადაც რომ ვერ წარმოვიდგენდით. პირადად მე განსაკუთრებული სიხარული მომანიჭა ახალგაზრდა რეჟისორის აგრეს კრუშინის ნახვამ, რომელსაც მოსკოვის უმაღლესი სარეჟისორო კურსებიდან ვიცნობდი. მან და ქალბატონმა ლუციამ საკუთარი სპექტაკლებიც გვაჩვენეს და გულუხვადაც გაგვიმასპინძლდნენ, რამაც აღნიშნული ერთი კვირა სამუდამოდ დაგვამახსოვრა.“

დადგა ჩვენი წარმოდგენის დღეც. ყველანი ვდელავდით. როდესაც მაყურებელმა იაკობ შიმშილაშვილის არონი და ნაირა გორდემიანის შესანიშნავად ხორცშესხმული ლეა ნახა, ავთანდილ გავაშელის გიორგი იხილა და ნინო გუგუშაშვილის ლატვიურ ენაზე ნათქვამი მონოლოგი მოისმინა, ჩვეულებას უდალატა და ჩვენი მსახიობები მქუხარე ტაშით ფარდის დაშვებამდე არაერთხელ დააჭილდოვა, სპექტაკლის ბოლოს კი ოვაციებს ბოლო არ უჩანდა. ავთანდილ გავაშელსა და ნინო გუგუშაშვილს მკერდზე ლაურეატის მედლები ჩამოჰკიდეს, მთელ დასს კი დიპლომები და

© შეხვედრა ნარსულთან სიზკვოს გვანსოვს...



არადა, უახლოეს ნარსულში წილად მხვდა პატივი ქართულ-ლატვიური მჭიდრო კულტურული თანაცხოვრების დაუნიწყარი პროცესის თანამონაწილე ვყოფილიყავი და მაშინ განვითარებულ მოვლენებში მცირე ექსკურსს თქვენც შემოგთავაზებთ, ფაქტების სიზუსტისთვის კი ონის სახალხო თეატრის ლეგენდარული რეჟისორის, საქართველოს სახალხო არტისტის, **დიმიტრი ალექსიძის** მიერ ქართული თეატრის ვაჟა-ფშაველად შერაცხილი ეროვნული მოღვაწის **გიგა ჯაფარიძის** ავტობიოგრაფიულ წიგნს „სადაც საჭირო ვიყავი“ მოვიშველიებ (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა **მარინა ყიფიანმა**, მხატვარი **ქეთევან ჯაფარიძე**).

მაშ ასე, 1987 წელი. დრამატურგ **მურამ ბათიაშვილის** პიესა „სოფლის გარდაცვალება“, რომელიც მტკივნეულ პრობლემას – სოფელ ანანურის წყალში შესაძლო ჩაძირვას ეხება, რასაც დიდ ტერიტორიასთან ერთად ისტორიული სოფლის პირისაგან მიწისა აღგვაც უნდა მოჰყოლოდა.

ახლა კი კრებულის ავტორს მივუსმინოთ:



1988წ. ონი. სტუმარ-მასპინძლები

საჩუქრები გადასცეს. ლატვიელებმა გვითხრეს, რომ წყალში ჩაძირული სოფლების პრობლემა ჩვენთანაც აქტუალური გახლავთ და პირდაპირ მიზანში მორატყით, თქვენი დადგმით მალამო მოგვეცხო გულზეო. ნამოსვლისას დაუნიწყარი იყო მშვენიერი ახალგაზრდა ლამაზმანის სკადრიტეს გამოსათხოვარი სიტყვა ქართულ ენაზე, რამაც ყველანი აგვაცრემლა.

მოკლედ, მადლიერნი დაგზრუნდით სამშობლოში და ახლა ჩვენ მოვიპატიუეთ სტუმრად მთელი იქაური დასი სეზონის ბოლოსთვის.“ მეგობართა საპასუხო ვიზიტს, თუ სპორტულ ტერმინოლოგიას მივმართავთ, ღირსეული რევენში შეიძლება ეწოდოს, რა-

საკვირველია, გულთბილი დახვედრის, მხატვრული პროგრამის, რაჭის ღირსშესანიშნაობათა დათვალეირებისა თუ ეგრეთ ნოდებელი მესამე ტაიმების თვალსაზრისით.

ღიას, ვინაიდან საკუთარ შემოქმედებით და სხვა სახის წარმატებებზე უხერხულია საუბარი, მოკლედ მოვახსენებთ, რომ 5 დღის განმავლობაში სტუმრებს ვუჩვენეთ ჩერნობილის სულისშემძრელი ტრაგედიისადმი მიძღვნილი გუმბრევის პიესის – „სარკოფაგის“ ჩვენეული დადგმა, დავათვალეირებინეთ შოგი, უნერა და ამბროლაური, სადაც შთამბეჭდავი მიღება მოუწყო **მასტანგ იაშვილის** ოჯახმა ისევე, როგორც ონიში, **ნესტორ დუშაშვილის** და სოფელ

საკაოში – **ბორის გუგუშაშვილის** ხელოვანთა დინასტიებმა, კულტურათა ზემის ვივრგვის კი ბოლოს ტურმაზაში გადახდილი ბანკეტი წარმოადგენდა.

დავქვით, რომ ჩრდილოური ეპოსის – კალევალას საკუთარი ვერსიით ლატვიელებმაც დაგვატკბეს, გამოსათხოვარ საღამოში კი ორივე თეატრის რჩეული ძალები მონაწილეობდნენ.

თითქოს არაფერი ემუქრებოდა კავკასიურ-ბალტიისპირულ სამაგალითო ურთიერთობას, მაგრამ ჯერ ეროვნული მოძრაობა და მიტინგები აზვირთდა, შემდეგ 9 აპრილის ტრაგედია დატრიალდა და საბჭოეთი დაიშალა, ბოლოს კი 1991 წლის გაზაფხულზე მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრამ არია მონასტერი. მიუხედავად ყველაფრისა, დასკვნითი აკორდი ელგავაში – ონის სახალხო თეატრი ელგავაში „ანა ფრანკის დღიური“ დაბრუნდა. ახლა კი ისევ ბატონ გიგა ჯაფარიძის მოუუსმინოთ:

„...ლატვიელი მეგობრები აშკარად უფრო მაღალ დონეზე დაგვხვდნენ, შესანიშნავად დაგვაზინავეს და თავისებური ყურადღებით გვანებებდნენ. შეუფასებელია ინტელექტუალური სიხვედრის და ჩვენს სპექტაკლში სახელდახელოდ ჩავრთეთ ელგავის თეატრის 3 ახალგაზრდა მსახიობი,



სტენა პიუსილან „სარკოფაგი“

© ლეგიონერები გუდუგოლა დაინყო...

განვლილი უქმეების მთავარ მოვლენად გერმანულ ბუნდესლიგაში ბუდუ ბიგბიგის დემოუტი იქცა და უნდა ითქვას, რომ 30 წლის ქართველმა ლეგიონერმა ღირსეულად ჩააბარა პირველი გამოცდა.

შეგახსენებთ, რომ კონფერენს ლიგის პლეი-ოფში გასული მისი ახალი კლუბი ჰაიდენჰაიმი შარშანდელი სექტემბრის შემდეგ მოუგებლად თამაშობდა, 10 მხვედრაში მხოლოდ 1 ქულა მოაგროვა და გასაჯარდნი ზონის ბინადარი გახდა.

მით უფრო დასაფასებელია ის 3 ქულა, მასპინძლებმა ბერლინის უნიონთან რომ მოიპოვეს – 2:0, ჩვენმა თანამემამულემ კი ჯერ სტუმართა მცველის მინდვრიდან გაქვევებაში მიიღო მონაწილეობა, ხოლო მერე გოლი უშუალოდ მის აქტიურობას მოჰყვა.

სამწუხაროდ, შაბათს დანარჩენმა ჯვაროსნებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს. ესპანეთის ლა ლიგა. სევილია – ვალენსია 1:1. ტრავის მოშუმების შემდეგ გიორგი მამარდაშვილი ღამურებს ბოლო ნუთზე გაშვებული დასანანი გოლით დაუბრუნდა.

იტალიის სერია „ა“. ემპოლი – ლეჩე 1:3. საზა გოგლიჩიძე ძირითად შემადგენლობაში იყო. საფრანგეთის ლიგა 1. ბრესტი – ლიონი 2:1. გიორგი მიქაუტაძემ ბოლო 15 წუთი ითამაშა.



1990წ. ლიბრა. გიგა ჯაფარიძე და იონას კორეიკა

რომლებმაც მაყურებლებამდე მშობლიურ ენაზე მიიტანეს ანა ფრანკის ტავილიანი დღიური. ენობრივი ბარიერი ჩვეული პროფესიონალიზმით გადაგვალახვინა სოფიკო გუგუშაშვილმა. სპექტაკლის შემდეგ მთელი დარბაზი თვალცრემლიანი გვიკრავდა ტაშს. ეს ტაში 9 აპრილს დაღუპულებს ეკუთვნოდო, რომლებიც ფინალურ სცენაში მონაწილეობის მოვისწინეთ. ღიას, ქალბატონმა ლუცია ნეფედოვამ და ალუნანის სახელობის ელგავის თეატრმა კიდევ ერთხელ განგვაცდევინეს დიდი ლატვიური სიბოლო“.

ჩარობად კი იმავე არეულ პერიოდში უკვე ამბროლაურის სახალხო თეატრის სცენაზე ტრიუმფით დადგმული ერისთავის უკვდავი „სამშობლოთი“ ლიტვის ქალაქ როკიშკის (დრამატული თეატრის რეჟისორი **იონას კორეიკა**) საერთაშორისო ფესტივალზე მოგახსენებთ, სადაც ფიურის გაღანყვითლებით გიგა ჯაფარიძის დიდი პრიზი, საგანგებო ჯილდო – სპეციალური კვერთხი, ლენტი, მედალი და ხეზე ამოკვეთილი მსახიობის სიმბოლური სახე გადაეცა.

გვწამს, გაგრძელება იქნება!

გიგა პლატონიშვილი

როდის მიაკითხავს თეატრ ჭყონიას სამართალი? რადიკალური ოპოზიციის დაფინანსება საქართველოში არსებული

2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიის შექმნა; „ერთიანი ნაციონალური საქართველოს“ სარჩელი ოთხი ოპოზიციური პარტიისა და მათი ლიდერების წინააღმდეგ ჯაშუშურ ქსელში ჩართვისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედებების ბრალდებით – როგორც ჩანს, საპარლამენტო ოპოზიციის თავზე ცა იქეფრება, რადგან მმართველი გუნდი წინასწარჩვენო დაპირებების შესრულებას იწყებს, საზოგადოებრივი მოძრაობები კი ოპოზიციის ჯაშუშობის ბრალდებით გასამართლებას მოითხოვენ.

თითქოს ეს ყველაფერი საკმარისი და საკმარისზე მეტი უნდა იყოს იმისთვის, რომ ამ საკითხებზე საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვიოს, მაგრამ როგორც ჩანს პროცესი უფრო შორს წავა და თუკი პირველ ეტაპზე, საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ჯაშუშობის უშიშვანი ბრალდება, სავარაუდოდ, მხოლოდ პოლიტიკოსებს შეეხებათ, არაა გამორიცხული, რომ ანალოგიური ბრალი იმ ბიზნესმენებსაც წარედგინოს, რომლებიც სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებაში არიან შემხვეული.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ერთ-ერთი პირველი, ვისაც ეს პროცესი შეეხება, სავარაუდოდ, თემურ ჭყონია იქნება, სკანდალურად ცნობილი ბიზნესმენი, რომელიც ბოლო პერიოდში პოლიტიკურ პროცესებში განსაკუთრებით აქტიურად არის ჩართული და რომლის განცხადებებზეც, როგორც წესი, სრულ კოორდინაციაში იმ პოლიტიკოსების განცხადებებთან, რომელთაც საქართველოს წინააღმდეგ ჯაშუშობას ედავებიან.

ჭყონიას ბოლოდროინდელი განცხადებების ფონზე ეს არცაა გასაკვირი, რადგან ის უფრო და უფრო აქტიურად ცდილობს პოლიტიკაში ჩართვას და ქვეყნისთვის საზიანო ინტერესების გატარებას. ყველაფერს რომ თავი დაეკარგოს, სხვაგვარად როგორ აიხსნება მისი განცხადებები, რომ ერთი მხრივ ქართული სასამართლო სისტემა მიკერძოებული და უმეტეს შემთხვევაში სუბიექტურ განაწილებებს იღებს, მეორე მხრივ კი სახელმწიფო სამაგალითოდ სჯის ახალგაზრდებს, რომლებსაც არათ-

ვარი დაუშავებიათ და პროტესტს გამოხატავენ ევროინტეგრაციის მხარდასაჭერად?!

საქართველოს პარლამენტის წინ გამართული აქციები მშვიდობიანი რომ არ იყო, ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება, რადგან დადასტურებული ფაქტია. დადასტურებულია ისიც, რომ აქციის მონაწილე ახალგაზრდების მოძალადე ნაწილი სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებს თავს ესხმოდნენ და ლამის სასიკვდილოდ იმეტებდნენ.

ამ ახალგაზრდების ნაწილი, თავისდა უნებურად, შესაძლოა საქართველოს მტრების ნისქვილზე ასხამდნენ წყალს, რადგან „სასარგებლო იდენტობის“ როლს ასრულებენ, ნაწილი კი შესაძლოა სრულიად



**სამართალი არ დაემატება წინ
გამართული აქციები მშვიდობიანი რომ
არ იყო. ამას დიდი მტკიცება არ სჭირდება,
რადგან დადასტურებული ფაქტია.
დადასტურებულია ისიც, რომ აქციის
მონაწილე ახალგაზრდების მოძალადე
ნაწილი სამართალდამცავი უწყების
წარმომადგენლებს თავს ესხმოდნენ და
ლამის სასიკვდილოდ იმეტებდნენ.**

გაცნობიერებულად მონაწილეობდეს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში, მაგრამ, როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია – თემურ ჭყონიას, გამოცდილ ბიზნესმენს და წლების განმავლობაში სხვადასხვა ხელი-სუფლებასთან მჭიდრო კავშირში მყოფ ფიგურას შესანიშნავად ესმის, თუ რა „თავისუფლებას და ევროინტეგრაციას“ იცავდნენ დაკავებული ახალგაზრდები, მაგრამ მსგავს ანგაჟირებულ განცხადებებს, ცხადია რომ შეგნებულად აკეთებს იმ გარე ძალების დაავალებით, ვის სასარგებლოდაც მოქმედებს.

გარემოებებიდან გამომდინარე, გავიხსენოთ მისი სხვა განცხადებებიც. თემურ ჭყონია ამაცობს, რომ მის კომპანიებს ბიუჯეტში ასობით მილიონი ლარის გადასახადი შეეჩეთ; კი ბატონო, ასეთი რამ ნების-

იერი ბიზნესმენისთვის გამოდგებოდა თავის მოსაწონებელ არგუმენტად, მაგრამ ჩნდება საკვებით ლოგიკური, თუმცა კი რიტორიკული კითხვა – ნუთუ თემურ ჭყონიას არ რცხვენია იმის, რომ ამ შემოსავალს ჩვენი საზოგადოების ძარცვისა და მონაწილეობის პროდუქციის გაყიდვის ხარჯზე იხდის?!

ყველას კარგად გვხვია, რომ „კოპა პოლას“ და „გაქლონ-ალდისის“ შრომობის ხარისხის გადასწავლის შემთხვევაში, ისინი უზრაოდ ასაპრაალი, იმდენად დიდი ზიანი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისთვის.

გარდა ამისა, ზემოხსენებული წყაროსავე ცნობით, თემურ ჭყონია აქტიურად არის ჩართული ნარკოტრეფიკის კოორდინაციის სფეროში, რაც მისი შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, თუმცა, ბუნებრივია, მტკიცებულებების გარეშე ამ თემაზე არგუმენტირებულად ვერ ვისაუბრებთ.

სამაგიეროდ, იმაზე კი დასაბუთებით შეგვიძლია საუბარი, რომ ყოველი თანხა „გაქლონ-ალდისით“ ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ნაწილში, ჩვენს პატარავში, ლგზგ პროვოცირდება, ანუ პირდაპირ მონაწილეობდა ანალოგიური ღირებულების ბარყინაში.

აი, ამ ყველაფრით იწონებს თავს და ამაცობს თემურ ჭყონია, რომელიც გაფორმდა ჯაშუშად ქვეყნისა, რომლის სახელმწიფო ინტერესები დღეს საქართველოს სუვერენიტეტს არ ითვალისწინებს, ქვეყნისა ვისგანაც ჭყონიას საკუთარი ბიზნესის წარმოებისთვის აუცილებელი ლიცენზიები აქვს მოპოვებული, ლიცენზიები, რომლითაც ფიზიკურად წამლავს საქართველოს მოსახლეობას.

როგორც ჩანს, თემურ ჭყონიამ იმდენად დაკარგა რეალობის შეგრძნება, რომ მისი წარმომავლობის-

სთვის ასე დამახასიათებელი სიფრთხილის გრძნობაც კი ვერ ეხმარება სწორად და ადეკვატურად მოქმედებაში. ან, მეორე მხრივ, შესაძლოა ეს იმის ბრალიც იყოს, რომ უცხოელი პატრონები, ვის ინტერესებსაც ატარებს, საქართველოს სუვერენიტეტის გაუქმების გზაზე, ვა-ბანკზე არიან ნასულეები.

სულ ბოლოს კი აღვნიშნოთ ისიც, რომ თუკი თემურ ჭყონიასთან დაკავშირებული ინფორმაცია დადასტურდა, გამორიცხული არაა, რომ მისი ბედი სხვა ბიზნესმენებსაც გაიზიარონ, იმ ადამიანებმა, რომლებიც წლებია რაც საქართველოს წინააღმდეგ, უცხო ქვეყნის/ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ მოქმედებენ და ამის დასაფარად თავი ბიზნესისთვის აქვთ შეფარებული.

ვარლამ მუხაძე

მკლავრ აფეთქებას ჩახეთქი მსხვერპლი მოკვდა

ჩვენთვის ქალაქ მოსტში რესტორანში აფეთქებას 6 ადამიანი ემსხვერპლა, 8 კი დაზარადა.

სახანძრო სამსახურის ცნობით, აფეთქება, სავარაუდოდ, გამათბობლის ამოტრიალებამ გამოიწვია, რასაც შენობაში ხანძარი მოჰყვა. უწყების თანახმად, ადგილზე 12 სახანძრო ბრიგადა იყო მობილიზებული.

სახანძრო ბრიგადის თქმით, ერთი მძიმედ დაზარებული პირი

გადაარჩინეს, რომელიც საპირფარეოში იყო გამოკეტილი.

ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვიტ რაკუსანმაჩ ჩეხურ რადიოსთან საუბრისას ასევე თქვა, რომ აფეთქების სავარაუდო მიზეზი რესტორნის ბაღში გამათბობლის ამოტრიალება გახდა.

შემთხვევის დროს რესტორანში დაახლოებით 20 ადამიანი იმყოფებოდა.

რესტორნიდან და მიმდებარე ტერიტორიიდან 30 ადამიანის ევაკუაცია მოხერხდა, რომლებიც შემდგომ საავადმყოფოში გადაიყვანეს.



არღვიწყა

მოგელ ზუხბაია



აფხაზეთის ამტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებას გამოაკლდა დგანდომილი, დამსახურებული მამულიშვილი, წარმატებული სამეურნეო ხელმძღვანელი, საზოგადო მოღვაწე, მაღალი ორგანიზაციული ნიჭითა და უნარ-ჩვევებით გამორჩეული პიროვნება მოგელ გახას ძე ზუხბაია.

მოგელ ზუხბაია დაიბადა 1937 წელს გალის რაიონის სოფ. ლუმურში. 1966 წელს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთელი მისი შრომითი საქმიანობა დაკავშირებული იყო მშობლიურ რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარებასთან. 1966 წლიდან მუშაობდა კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადირად, აგრონომად. როგორც აქტიური და ინიციატივიანი სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, 1970 წელს გალის რაიონის ხელმძღვანელობაში ის დაინიშნა ისტორიული სოფლის – ოქუშის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ. ამ თანამდებობაზე მან თითქმის ორი ათეული წელი იმუშავა. მოგელ ზუხბაიას ხელმძღვანელობით ოქუში გახდა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული არა მარტო აფხაზეთის, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბით, რაც დადებითად აისახა თვით სოფლის ინფრასტრუქტურაზე, მისი მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. სოფელი სისტემატურად ჯილდოვდებოდა იმუამად არსებული პრესტიჟული საკავშირო და საქართველოს ჯილდოებით.

მოგელ ზუხბაიას აქტიური მონაწილეობა როგორც გალის, ასევე აფხაზეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსეულად იქნა დაფასებული. ის გახლდათ გალის რაიონისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, საქართველოს არჩევითი ორგანოების წევრი. დაჯილდოებული იყო საქართველოს და საკავშირო მაღალი ხარისხის სხვადასხვა ორდენებით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს საპატიო სიგელებით. სიცოცხლის ბოლო წუთამდე ის აქტიურად იყო ჩართული ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარების პროცესებში სახალხო დიპლომატიის გზით.

წავიდა კიდევ ერთი, საკუთარ კარ-მიდამოში დაბრუნების აუხდენელი ოცნებით გულნაკლული ადამიანი. ვუსამძიმრებთ მის მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ახლო ნათესავებს, მეგობრებს.

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

მიგობარტა ჯგუფი.

სსოვნა

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუნწყება, რომ გარდაიცვალა

სისანა შარაბიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სროლა სოხუმის ტანტრში – გარდაცვლილია სამი ადამიანი


ოკუპირებული სოხუმის ცენტრში 11 იანვარს სროლა იყო. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, დაპირისპირება კაფე „მის-კვიტი“ მოხდა. სამი პირი ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებით საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მათი გადარჩენა ეჭიმება ვერ შეძლეს.

ერთი მსროლელი მიიმალა დანაშაულის ადგილიდან. სისხლის სამართლის საგამოძიებო დეპარტამენტმა ეჭვმიტანილი გამოავლინა და დააკავა. გრძელდება ოპერატიული სამძებრო ღონისძიებები, ადგილზე მუშაობენ საგამოძიებო ჯგუფები და კრიმინოლოგები.



ინფორმაცია „ეხო კავკაზა“ ტელეკომპანია Apsua TV-ზე დაყრდნობით ავრცელდება.

ანა ჭაბაშვილის უპირიზასი ნობათი ეროვნულ ბიბლიოთეკას!



საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 1864 წელს თბილისში გამოცემული „ლოცვანი“

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას მიწა მიწა დიდი ხნის შემოღობა და გულშემატკივარმა, ქალბატონმა ანა ჭაბაშვილმა საჩუქრად გადასცა 1864 წელს თბილისში გამოცემული „ლოცვანი“.

ეჭლილი. ერთი მათგანი ქართულ ენაზეცაა. ეს ფურცლოვანი გამოცემა ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის აფიისთვის დღემდე უცნობი იყო. ეს წიგნიც ბიბლიოთეკაში ერთადერთი გამოცემა გვექონდა. გამოცემა ბრწყინვალედ არის შემკული ტყავის ყლით. ყუაზე აქვს მფლობელის ინიციალები: მ. ი. ქ. შესაძლებელია - ე. კ. ამ შემთხვევაში გამოცემა ევისკოპოსის კირიონის ნაქონი გამოდის. ქალბატონი ანასგან ჩვენ საჩუქრებით ძველთაგან ვართ განვიხილავთ. ამჯერად მისი საჩუქარი, უნიკალური გაბო, წიგნის მუზეუმში დაიდებს ბინას! - ამბობს ეროვნული ბიბლიოთეკის სამბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი ლევან თაქთაქიშვილი.

„ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უძვირფასესი საჩუქარი მიიღო ეროვნული ბიბლიოთეკის მეგობრისაგან, სამეცნიერო წრეებში ცნობილი მიხეილ ჭაბაშვილის ოჯახის წარმომადგენლისგან, ქალბატონ ანა ჭაბაშვილისგან - „ლოცვანი“ საქართველოს კათოლიკეთათვის, შეკრებილი იონან მისურაძისაგან. ტფილისი. 1864 წელი. წიგნი ჩაღებულა ფურცლოვანი გამოცემები, რომლებიც საზღვარგარეთაა და-

გიორგი ხალაშის „პორიზონტი“



11 იანვარს შალვა ძნელაძის მუზეუმის საგამოფენო სივრცეში გიორგი ხალაშის ფოტონამუშევრების გამოფენა „პორიზონტი“ გაიხსნა. გიორგი ხალაშის დაიბადა 1957 წლის 16 დეკემბერს ქობულეთში. წარმატებით დაამთავრა მოსკოვის ხელოვნებისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გიორგი ხალაშის იყო მოსკოვის ქართული სათვისტომოს საბჭოს აქტიური წევრი. აგრეთვე, წმ. ნინოს და წმ. გიორგის სახელობის მართლმადიდებლური საძმოს ერთ-ერთი დამფუძნებელი, მოსკოვის ქართული კულტურის ცენტრის „მზის“ საგამოფენო არტსალონ „მზის“ ერთ-ერთი დამაარსებელი. 2015 წელს გიორგი ხალაშის დაბრუნდა საქართველოში. ის განაგრძობს შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. გატაცებულია ფოტოგრაფიით. 2024 წელს მას ჰქონდა პირველი ფოტოგამოფენა ბათუმის ხელოვნების მუზეუმის საგამოფენო სივრცეში. ეს მისი მეორე პერსონალური გამოფენაა. გიორგი ხალაშის აგრეთვე ქმნის მუსიკალურ ნაწარმოებებს, წერს ლექსებს, კითხულობს ლექციებს, რითაც აქტიურად უზიარებს ახალგაზრდებს საკუთარ შემოქმედებით, კულტურულ თუ ცხოვრებისეულ გამოცდილებას. საგამოფენო დღეებია: 11-16 იანვარი, 14.00-19.00 სათ. მისამართი: სოფელი დიღომი, სვეტიცხოვლის ქ. N1.

უცნაური მზის ქუდი



ლას-ვეგასში სამომხმარებლო ელექტრონიკის გამოფენაზე - CES 2023, გამომგონებლებმა წარადგინეს მზის ქუდი (EcoFlow Power Hat), რომელსაც ერთდროულად ორი ტელეფონის დატენვა შეუძლია. ტელეფონის დატენვისთვის, ქუდის მომხმარებელი გარკვეული დროის განმავლობაში გარეთ უნდა გავიდეს. პატარა მზის პანელები ქუდშია მოთავსებული. ქუდში ასევე განთავსებულია სპეციალური USB-A და USB-C-ის მონაცემლობა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ორი ტელეფონის ერთდროულად დატენვა. მზის ქუდი, რომელიც მობილურ ტელეფონებს ტენის, ადვილად იკეცება და ჰიბეშიც კი ეტევა. გამომგონებლების თქმით, მასში ვერ აღწევს წყალი ან მტვერი.

წმინდა ბასილი დიდი - ახალი წლის ბაღნიერად წარმართული

14 იანვარს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ახალი წლის პირველ დღეს წმინდა ბასილი დიდის ხსენებას, დღესვე არის იესო ქრისტეს წინადაცვეთის ხსენება. ასევე ხსენება წმინდა ბასილი დიდისა. 15 იანვარს კი სერაფიმ საროველს იხსენიებს წმინდა ეკლესია...
...ცნობილია, რომ ახალი წლის პირველ დღეს ეკლესიაში აღესრულება წმინდა ბასილი დიდის ნიშნა. ბასილი დიდი გაიზარდა წმინდათა ოჯახში. პირველდაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ის სწავლობდა ათენის სკოლაში, შემდეგ, ძალიან დიდხანს უდაბნოში ცხოვრობდა.
...აღსანიშნავია ისიც, რომ წმინდა ბასილი დიდი უდაბნოში წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველთან ერთად მოღვაწეობდა.
საგულისხმოა, რომ წმინდა ბასილი დიდი მართლმადიდებლობის დამცველი იყო.
პიოტეზის თანხმად, ბასილი დიდი წარმოშობით საქართველოდან ყოფილა! ნიშანდობლივია ისიც, რომ ბასილი დიდს ევედრებოდნენ წლის კეთილად და ზედნიერად წარმართავს.
საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობს ბასილი დიდი, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ თოთხმეტი იანვრისთვის აკეთებენ ჩიჩილას და მას მოფერებენ „ბასილის წვერებს“ ეძახიან.



გიული ლიპარტია
სელოვნური ინტელექტი კასობრიობის დასასრულია?

სტივენ ჰოკინგი სიკვდილის წინ კასობრიობას გოლო გაფრთხილება გაუზიარა

ჰოკინგი ბევრად წინ იყო და ჯერ კიდევ 2012 წელს გამოთქვა პროგნოზი, რომ „სრული ხელოვნური ინტელექტის განვითარებამ შეიძლება გამოიწვიოს კაცობრიობის დასასრული“.
„აღამიანები, შეზღუდული მიოლოგიური ევოლუციით, ვერ შეძლებენ კონკურენციას და გადაარჩენას.“
გარდაცვალებამდე სულ რაღაც ერთი წლით ადრე ჰოკინგმა გააფრთხილა კაცობრიობა.
მან თქვა: „მეშინია, რომ ხელოვნურმა ინტელექტულმა შეიძლება საერთოდ შეცვალოს ადამიანი...“
მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე თვეში გამოქვეყნებულ წიგნში მას დაუწერია:



„ჩვენ შეიძლება აღმოვჩნდეთ სადაზვერვო აფეთქების წინაშე, რომელიც საბოლოოდ მიგვიყვანს მანქანებამდე, რომელთა ინტელექტი უფრო მეტად გადააჭარბებს ჩვენსას, ვიდრე ჩვენი ინტელექტი აჭარბებს ლოკოკინების ინტელექტს“.

აგრონომი, რომლის ადამიანებს ჰპირთის გადატანაში უხმარება

გერმანულმა კომპანიამ German Bionic-მა წარმოადგინა თავისი უახლესი ეგზოჩონჩხი. ახალი პროდუქტი შექმნილია იმისთვის, რომ დაეხმაროს მფლობელებს მძიმე ტვირთის ტარებაში, წერს Interesting Engineering.
დეველოპერების თქმით, Apogee ULTRA-ს შეუძლია 36 კგ-მდე ტვირთის აწევა. გარდა ამისა, ეგზოჩონჩხს შეუძლია 10 კილომეტრის თავისუფლად გასვლა.
გერმანულმა Bionic-მა გააზიარა, რომ Apogee ULTRA განკუთვნილია ინდუსტრიებისთვის, სადაც მუშებს ხშირად მძიმე ტვირთის ტარება უწევთ. მიუხედავად ამისა, ეგზოჩონჩხი შეიძლება სასარგებლო იყოს საქმიანობის სხვა სფეროებშიც.
კომპანიამ დასძინა, რომ ახალი განვითარება არა მხოლოდ გაზრდის ადამიანების ეფექტურობას, არამედ შეამცირებს სამუშაოსთან დაკავშირებული დაზიანებების რისკს.
Apogee ULTRA ასევე აერთიანებს ხელოვნურ ინტელექტს. ის ეხმარება ეგზოჩონჩხს, უკეთ მოერგოს



საქართველო

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაია (599-36-00-35);
რედაქტორის მოადგილე მამუკა ვაშაკიძე (597-22-07-04),
შემოქმედებითი ჯგუფი: ალექსანდრე მთავარი, თემურ ქორიძე, თათარ ტურაბელოძე, გია პლატონიშვილი,
პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი რუსუდან ქობულაია (577-77-27-17),
სტილისტ-კორექტორები: ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.
ოპერატორი შორენა გვილია.
დამკავალონებლები გიორგი მახარაშვილი, არჩილ სიხარულიძე.
გამეთის განახლებული ლოგოს ავტორი გიორგი ნადარეშილი

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზეჭილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იხილეთ სტამბა „კოლორი“ ე. ბალდავასის №3
კოლორი ჯგუფი
UAC(უბაკ)070.4(479.22) C-323
2 009882 616932

რეკლამისთვის დაწვავთ: 577-77-27-17 rkobulia29@gmail.com ანგარიშის ნომერი GE90BG000000538329790

გაზეთის მომწოდებელი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 15 იანვარს